ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

(2021-2022 წლების სამეცნიერო და სხვა საქმიანობის ანგარიში)

2021-2022 წლებში ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში გრძელდებოდა მუშაობა „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამით დაფინანსებულ ხუთწლიან სამეცნიერო-კვლევით პროექტზე - **„საქართველოს საზღვრები“** (ხელმძღვანელი, ისტორიის დოქტორი გიორგი ჭეიშვილი). აღნიშნულ წლებში, პროექტის ერთ-ერთი მიმართულების დაგეგმილი თემების: *„ქართველი ხალხის ეთნო-კულტურული ურთიერთობები ცენტრალური კავკასიის ხალხებთან“* (2021 წელი), *„ქართველი ხალხის ეთნო-კულტურული ურთიერთობები ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ხალხებთან“* (2022 წელი) - შესასრულებლად, მოეწყო საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციები ონისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში. საველე სამუშაოები 2021 წელს ჩატარდა ზემო რაჭის სოფლებში: გლოლა, ღები, ჭიორა და 2022 წელს ხევსურეთის სოფლებში: ბარისახო, როშკა, ახიელი, შატილი, მუცო, არდოტი, გუდანი, ბისო, ხახმატი, ბაცალიგი. მოპოვებული ახალი მასალა გამოყენებული იქნა წლიურ ნაშრომებში.

ინსტიტუტის ბაზაზე შესრულდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები: 1) **სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა** (FR-17_144, 2017-2021 წწ., ხელმძღვანელი დავით ჭითანავა); 2) **საზოგადოება, მკურნალი, პაციენტი: ტრადიციული ქართული სამედიცინო სისტემის სოციოკულტურული ასპექტები და თანამედროვეობა** (FR-19-8876, 2020-2023 წწ., ხელმძღვანელი ნინო მინდაძე); 3) **უცხოური კაპიტალი საქართველოში და დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციები XX საუკუნის პირველ მესამედში** (FR-21-7848, 2022-2025 წწ., ხელმძღვანელი არჩილ კოხრეიძე); 4) **ზედაშეს კულტურა საქართველოში** (საგამომცემლო გრანტი NSP-21-656, 23.07.2021-23.01.2022 წწ., ხელმძღვანელი დავით ჭითანავა); 5) **„კავკასიის კარი“ - საქართველოს ჩრდილოეთი კარიბჭე** (საკონფერენციო გრანტი BRG-II-19-137, 2020-2021 წწ., ხელმძღვანელი ვალერიან ვაშაკიძე) და 6) **საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი** (CS-II-22-223, 06.06.2022-30.11.2023 წწ., ხელმძღვანელი გიორგი ჭეიშვილი);

ინსტიტუტის მეცნიერებმა 2021 წელს მონაწილეობა მიიღეს ეროვნულ და საერთაშორისო 19, ხოლო 2022 წელს - 30 სხვადასხვა სამეცნიერო პროექტში, რომლებიც დაფინანსდა სხვადასხვა ფონდის (შ. რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი; გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD); პოლონეთის აკადემიური გაცვლის ეროვნული სააგენტოს გრანტი (NAWA); გერმანიის საგარეო საქმეთა ინსტიტუტი (IFA); ევროპის კვლევის კომისია (ERC); გერმანული კვლევის ფონდი (DFG); საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი - რონდელის ფონდი; რიჩარდ პაიპსის სახელობის გრანტი (პოლონეთი); აკადემიური გაცვლის პოლონეთის ეროვნული სააგენტოს გრანტი) მიერ სხვა ორგანიზაციების (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; თსუ; კავკასიის ხალთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი; კავკასიური სახლი; კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) ბაზაზე.

ინსტიტუტის თანამშრომელთა ავტორობითა და თანაავტორობით, <u>2021 წელს</u> გამოიცა 15 (მათ შორის 1 საზღვარგარეთ) მონოგრაფიული ნაშრომი, წიგნი და სახელმძღვანელო. სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში და კონფერენციების

მასალათა კრებულებში დაიბეჭდა 77 სტატია (მათ შორის 15 საზღვარგარეთ); 2022 წელს საქართველოში გამოიცა 18 მონოგრაფიული ნაშრომი და წიგნი; სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში და კონფერენციების მასალათა კრებულებში დაიბეჭდა 58 სტატია (მათ შორის 14 საზღვარგარეთ). ინსტიტუტის თანამშრომლებმა, როგორც მომხსენებლებმა და თანამომხსენებლებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ფორუმებში (2021 წელს: საქართველოში - 68, საზღვარგარეთ - 21; 2022 წელს: საქართველოში - 71, საზღვარგარეთ - 25). მოხსენებათა ნაწილი გამოქვეყნებულია.

აღსანიშნავია, რომ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში და მისი ორგანიზებით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენციები:

25-27 ივნისი, 2021 წელი - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„კავკასიის კარი“ - საქართველოს ჩრდილოეთი კარიბჭე.**“ პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით. წამყვანი ორგანიზაცია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ; თანამონაწილე ორგანიზაციები: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, საქართველოს ეროვნული მუზეუმი. კონფერენცია ჩატარდა შერეული ფორმატით. ზუმის პარამეტრები: Meeting ID: 720 120 0609; Passcode: Gate2021. დაიბეჭდა კონფერენციის მასალათა კრებული (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

9-10 ივლისი, 2021 წელი - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: **„ეთნოლოგიური კვლევების ისტორია და პერსპექტივები,“** მიძღვნილი ჯულიეტა რუხაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი, რომელიც ჩატარდა დისტანციურად, ზუმის ფორმატში: Meeting ID: 981 6028 3531.

20-21 სექტემბერი, 2021 წელი - წმინდა გრიგოლ ფერაძის მე-2 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: **„საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია,“** მიძღვნილი დიდგორის ბრძოლის 900 წლისთავისადმი. ორგანიზატორები: ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპისმცოდნეობის ცენტრი, რომის საპიენცას უნივერსიტეტის ევრაზიისა და ხმელთაშუა ზღვის და სუბსაჰარულ აფრიკასთან თანამშრომლობის კვლევითი ცენტრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, წმ. მღვდელმოწამე გრიგოლ ფერძის საზოგადოება. კონფერენცია ჩატარდა შერეული ფორმატით. ზუმის პარამეტრები: Meeting ID: 720 120 0609, Passcode: Didgori1 და ID 293 534 7322, Passcode Didgori2.

დაიბეჭდა კონფერენციის მოხსენებათა მოკლე შინაარსების კრებული (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

მომხსენებლები წარმოადგენდნენ მსოფლიოს 16 ქვეყნის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებსა და უნივერსიტეტებს. კერძოდ, ეს ქვეყნებია: ავსტრია, აზერბაიჯანი, აშშ, ბულგარეთი, გერმანია, ესპანეთი, ისრაელი, იტალია, იაპონია, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია (რუსეთი, დაღესტნის რესპუბლიკა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკა), საფრანგეთი, საქართველო, სომხეთი.

18 დეკემბერი, 2021 წელი - ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია, ჩატარდა დისტანციურად. ზუმის პარამეტრები: ID: 463 893 25 41, Passcode: 2vMDe0. გამოიცა კონფერენციის მოხსენებათა თეზისები: ISBN 978-9941-8-4016-6, DOI: 10.6084/m9.figshare.17241626

<u>3-5 ოქტომბერი, 2022 წელი</u> - საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი. პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (კავკასიის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი). წამყვანი ორგანიზაცია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი; თანამონაწილე ორგანიზაციები: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. კონგრესი ჩატარდა შერეული ფორმატით. ზუმის პარამეტრები Meeting ID: 476 542 7966. დაიბეჭდა კონგრესის მოხსენებების თეზისები. მომავალ წელს იგეგმება მოხსენებათა სრული ვერსიების გამოცემა.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა, ასევე, ახალგაზრდა მკვლევრებმა 18 ქვეყნის (საქართველო, უკრაინა, იტალია, თურქეთი, სომხეთი, რუსეთი, პოლონეთი, ისრაელი, რუმინეთი, იაპონია, აზერბაიჯანი, ინგლისი, კანადა, ავსტრია, ავსტრალია, გერმანია, საფრანგეთი, შვედეთი) წამყვანი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებიდან. სულ წამოდგენილი იყო 152 მოხსენება (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

<u>5-6 სექტემბერი, 2022 წელი</u> - International Scientific Conference „Caucasus: The Crossroad of Cultural Exchanges (From ancient times to the modern period)“ N1, რომლის ორგანიზატორები იყვნენ: სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი და თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. კონფერენცია გაიმართა ქ. ერევანში და მასში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა 7 ქვეყნის (სომხეთი, საქართველო, იაპონია, რუსეთი, აშშ, პოლონეთი, ირანი) წამყვანი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებიდან. სულ წამოდგენილი იყო 45 მოხსენება. დაიბეჭდა კონფერენციის მოხსენებათა მოკლე შინაარსები (ISSN 2953-7851).

<u>28 ნოემბერი, 2022 წელი</u> - დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის დაბადებიდან 170 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომლის ორგანიზატორები იყვნენ: ინსტიტუტის საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილება, თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართველოს ანთროპოლოგთა ასოციაცია.

<u>23 დეკემბერი, 2022 წელი</u> - ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია. დაიბეჭდა კონფერენციის მოხსენებათა თეზისები.



2021 წელს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტმა გამოსცა პერიოდული გამოცემები: **„ქრონოსი“ N2; „ქართული წყაროთმცოდნეობა“ XXIII; „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“ N1(25); „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“ XXI; „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“ N2(28);** ასევე, დაიბეჭდა კონფერენციის მასალათა კრებული **„კავკასიის კარი - საქართველოს ჩრდილოეთი კარიბჭე“** (ISBN 978-9941-8-3424-0).







2022 წელს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტმა გამოსცა პერიოდული გამოცემები: **„ქრონოსი“ N3; „ქართული წყაროთმცოდნეობა“ XXIV; „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“ N 1(26); „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“ XXII; „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“ N3(29);** ასევე, დაიბეჭდა

საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესის მოხსენებათა მოკლე შინაარსები (ISBN 978-9941-36-033-6).





აღსანიშნავია, რომ 2021 წელს ინსტიტუტის ისტორიულ და ეთნოლოგიურ არქივში დაცული მასალები მიეწოდა კავკასიურ სახლს პროექტისათვის: „სახალხო უნივერსიტეტი“, სერია - „სახელხმიანი კავკასიოლოგები;“ ასევე, საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის მიერ გამოცემულ ჯულიეტა რუხაძის ეთნოგრაფიული ჩანაწერების - რაჭა-ლეჩხუმისა და სამეგრელოს ტომებში გამოყენებული იქნა არქივში დაცული ფოტომასალები.

ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრსა და ინსტიტუტს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში (რომლის მიზნია ინსტიტუტის ისტორიულ და ეთნოლოგიურ არქივში დაცული ქართული ტრადიციული მუსიკის, გალობის, ზეპირსიტყვირების, ქორეოგრაფიის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და სხვა ფოლკლორული საარქივო აუდიო, ვიდეო, დოკუმენტური მასალების შესწავლა, მათი სამეცნიერო კვლევა და პოპულარიზაცია), 2022 წელს განხორციელდა მუსიკალური ფონდის ხელნაწერი ფონდების დიგიტალიზაცია და აუდიო მასალის ციფრულ მატარებლებზე გადატანა. აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად, განადგურებას გადაურჩა ფოლკლორული ჩანაწერები, რომელიც XX საუკუნის 50-80-იან წლებშია ჩაწერილი

საქართველოში და ჩრდილო კავკასიაში. მომდევნო წელს იგეგმება ამ მასალების გამოცემა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა.

2021 წელს ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მონაწილეობა მიიღო თსუ-ს მიერ ორგანიზებულ „საუნივერსიტეტო წიგნის გამოფენაში"; წარდგენილი იყო ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ 2016-2021 წლებში გამოცემული მონოგრაფიები.

2021-2022 წლებში გრძელდებოდა ინსტიტუტის მუდმივმოქმედი სემინარი - **„საინსტიტუტო საუბრები"**, რომელზეც წარმოდგენილი იყო მოხსენებები როგორც ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის, ასევე მოწვეული მეცნიერების მიერ.

ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორია აგრძელებდა თანამშრომლობას მაქს პლანკის ევოლუციური ანთროპოლოგიის ინსტიტუტის არქეოგენეტიკის დეპარტამენტთან (გერმანია) და ვენეციის კა'ფოსკარის უნივერსიტეტის ფიზიკური ანთროპოლოგიის ლაბორატორიასთან (იტალია), ტარდებოდა ერთობლივი სამეცნიერო კვლევები. ლაბორატორიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქართულ-ამერიკულ ექსპედიციაში, რომელიც განხორციელდა პროექტის - **„დასავლეთ საქართველო, აჭარისა და გურიის გენეტიკური ისტორიის რეკონსტრუქცია"** - ფარგლებში (გრანტი: HJ-041R-17, National Geographic Society, აშშ). აღნიშნულ რეგიონებში, ადგილობრივი მოსახლეობისაგან, აღებული იქნა დნმ-ის 300-მდე ნიმუში და მოხდა ეთნოგრაფიული მასალების მოძიება; ასევე, European Research Commission (ERC, ბელგია) და გერმანიის სამეცნიერო ფონდის (DFG) პროექტებში.

2021-22 წლებში ინსტიტუტმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით და თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ორგანიზებით, სამეცნიერო და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისათვის გამართულ რიგით მეოთხე და მეხუთე ღონისძიებებში თემაზე - „წლის საუკეთესო მიღწევა."

2022 წელს ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად აირჩიეს ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **ნიკოლოზ ჯავახიშვილი.**

იუნესკოს მიერ დაწესებულ მეცნიერის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, 2021-22 წლებში, ისტორიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ საპატიო სიგელები გადასცა ინსტიტუტის თანამშრომლებს: ისტორიის დოქტორს, **ვალერიან ვაშაკიძეს;** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, **ელდარ ბუბულაშვილს;** ხოლო წყაროთმცოდნეობის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის, ისტორიის დოქტორს, **ლელა მიქიაშვილს;** 2021 წელს, არქეოლოგიასა და ისტორიოგრაფიაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, საქართველოს სამეფო სახლმა *მეფე ერეკლე მეორის სამეფო ორდენი* გადასცა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, **გიორგი ქავთარაძეს.**

2022 წელს, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის - „ღია მეცნიერების" განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში, შეიქმნა მონაცემთა ბაზა ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის მიერ 2002-2021 წლებში განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და ინსტიტუტის აქტივობების შესახებ 2017-2021 წლებში. ინფორმაცია განთავსდა ინსტიტუტის ვებ-გვერდზე: https://ihe.ge რომელიც მუდმივად ახლდება.